საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/44

19 აგვისტო, **2016** წ. ქ. ბათუმი

2016-2017 სასწავლო წლის შემდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ''ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, ,,**ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის**19 აგვისტოს N87 დადგენილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 6 ივლისის N40 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (სტუდენტის მიერ დარეგისტრირებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). ამავე ვადაში უნდა განხორციელდეს სტუდენტის მიერ უკვე დარეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა.
2. 2016-2017სასწავლოწლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად, შემდეგნაირად:

ა)I ეტაპი – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის – 24 სექტემბრის ჩათვლით, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის – 21 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ) II ეტაპი – 09 ნოემბრის ჩათვლით;

გ) III ეტაპი – 11 იანვრის ჩათვლით;

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**